ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3223174

ნომერი: AR1494591

თარიღი : 10.04.2017

გაცემის თარიღი : 25.04.2017

გაცნობის თარიღი : 26.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , კორპუსი 7 , მიმდებარედ , ნაკვეთი 12/038 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაური გრიგალაშვილი პ/ნ 38001003966
- საჩხერე ს. სპეთი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე სარეკლამო კონსტრუქციისა და ბილბორდის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ნუცუბიძის ფერდობი, მე-3 მ/რ, მე-2 კვ. კორპ. #7, მიმდებარედ, ნაკვ. #12/038–ში, შპს „პრადა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სარეკლამო კონსტრუქციისა და ბილბორდის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
„მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგ.: N 882016098417 29.02.2016 წ., საკადასტრო კოდი #01.14.02.012.038; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო და ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზი, სიტუაციური გეგმა ადგილის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ნუცუბიძის ფერდობი, მე-3 მ/რ, მე-2 კვ. კორპ. #7, მიმდებარედ, ნაკვ. #12/038–ში, შპს „პრადა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სარეკლამო კონსტრუქციისა და ბილბორდის მოწყობის შესაძლებლობას.

დაცული იქნას სარეკლამო კონსტრუქციის მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.